KA040153100511923

საქართველო, თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. №7; ტელ.: (+995 32) 2 19 27 27; ელ–ფოსტა: info@csb.gov.ge; www.csb.gov.ge

№ გ3696 **21 / აპრილი / 2023 წ.**

მირანდა თეთრაძეს
ელფოსტა: foi+request-1576-bea03d2a@askgov.ge

ქალბატონო მირანდა,

თქვენი მიმდინარე წლის 11 აპრილის (რეგ. N1469) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის განხორციელება კანონმდებლობის თანახმად, დაიწყო 2017 წლიდან. შესაბამისად, გიგზავნით 2017-2022 წლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანგარიშს/ინფორმაციას (იხ.დანართი). 2023 წლის მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება მიმდინარე წლის ბოლოს.

ასევე გაცნობებთ, რომ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ დეკლარაციის მონიტორინგი ხორციელდება შევსებულ დეკლარაციაში მითითებული მონაცემების სისრულისა და სისწორის შემოწმებით. მონიტორინგის შედეგების შესაბამისად, ბიუროს უფროსი/შესაბამისი უფლებამოსილი პირი იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: დეკლარაციაში დარღვევის არარსებობის შესახებ; დეკლარაციაში დარღვევის არსებობის შესახებ; თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში არაარსებითი დარღვევის არსებობის შესახებ.

დეკლარაციაში დარღვევის არსებობის შემთხვევაში, კანონმდებლობა ითვალისწინებს თანამდებობის პირის დაჯარიმებას. ჯარიმის ოდენობა 2018 წლის მაისამდე განსაზღვრული იყო 1000 ლარის ოდენობით, ხოლო 2018 წლის მაისში კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების თანახმად, განისაზღვრა თანამდებობრივი სარგოს 20%-ით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა, ხოლო გათავისუფლებულ თანამდებობის პირებთან მიმართებაში – თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ბოლოს მიღებული თანამდებობრივი სარგოს 20%-ით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა (ჯარიმის ოდენობები მოცემულია დანართში).

მონიტორინგის შედეგები ყოველი კალენდარული წლის ბოლოს ბიუროს მიერ ქვეყნდება პროაქტიულად ვებგვერდზე - csb.gov.ge.

დანართი: ელ. ფაილები.

პატივისცემით,

ბიუროს უფროსი

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

თეიმურაზ ჩიხრაძე